# სახალხო გაზეთი

№ 362 ოთხშაბათი, 27 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 362

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„ხორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.


## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

**მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.**

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

---

**ხუთშაბათს, 28 ივლისს, დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის**

### დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობთ **ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.** წირვის დასაწყისი $9^1/_2$ საათზე, პანაშვიდისა—დილის 11 საათზე. (2—1415—1)

---

კვირას, 24 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფელ ახალქალაქში გარდაიცვალა

### გენერალ-მაიორი თავ. გიორგი იორამის ძე თარხან-მოურავი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი, დები, შვილები, რძალი, სიძეები** და **შვილისშვილები.** პანაშვიდი ყოველ-დღე, დილის 11 საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება მიცვალებულის გვამისა მოხდება საკუთარ სახლიდან სოფელ ახალქალაქში, დილის 10 საათზე, 28 ივლისს, ერთაწმინდის ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნება წირვა. დაკრძალვა იქვე. (2—738—2)

---

**მეუღლე თამარა, მშობლები თაყა და მარიამ გერსამიები, ძმები: ნოშრევან, პავლე, იასონ, კლიმენტი, ერმილე და დები მარიამ და ანეტა** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფასი

### გიორგი გერსამიასი

გამოსვენება ხუთშაბათს, 28 ივლისს, დილის 9 საათზე საკუთარი სახლიდან მალაკნის ქუჩა № 26 ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3—741—2)

---

25 ივლისს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

### აბრამ ესტატეს ძე იორდანაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: განსვენებულის **და ბარბარე, სიძე—კოტე ჩარკვიანები** და **დედა ეკატერინე.** გამოსვენება და დაკრძალვა 28 ივლისს (ალექსეევის ქუჩა, პირველი ტუპიკი) კუკიის სასაფლაოზე. (1—742—1)

---

ორშაბათს, პირველ აგვისტოს, დილის 10 საათზე, თიანეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის გიმნაზიის **მესამე კლასის მოწაფის**

### გიორგის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულ-დამწვარნი მშობლები მისი **ივანე თევდორეს ძე, პელაგია ივანეს ასული და ძმები ლევან და შალვა ჩიბალაშვილები.** (1—743—1)

---

**მასწავლებელი გიორგი ფარნაოზის ძე წივწივაძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მისი საყვარელი მეუღლე

### ნატალია პეტრეს ასული

დასაფლავება დაბა ხონში, 28 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე. (1—1414—1)

---

**მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის ამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.**

---

## გორის საზოგადოების საურთიერთო ნდობის ბანკი

აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა მორიგი წლიური კრება დანიშნულია ამ წლის 7 აგვისტოს ქ. გორში, შუადღის 12 საათზე, საზაფხულო კლუბის სადგომში.

**განსახილველი საგნები:** 1) 1910 წლ. ანგარიშების განხილვა და დამტკიცება; 2) 1911 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 3) 1910 წლ. მოგების განაწილება; 4) არჩევნები ორი საბჭოს წევრისა დ. ი. მაჭავარიანის და მ. გ. ახალბედაშვილის ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუთავდათ; 5) არჩევანი სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათის სამი კანდიდატისა, რომელნიც შეამოწმებენ 1911 წლის ანგარიშებს და 7) საზოგადოების საბჭოს, მიმღები კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ჯილდოს შესახებ საკითხის გამორკვევა და მის რაოდენობის გადაწყვეტა. (1—1413—1)

---

**ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი**

## „კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ივლის-მოხაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ზვლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.

**საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.**

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. **განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჯუმბაძე.**

---

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და ცალკე წიგნად გამოვა

## გ. ახოსპირელის

დრამატიული პოემა

## შვენება და სიყვარული

გამოცემა **მიხაკო ლილიძისა.** (10—1403—4).

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება**

**მოწყობილია 50 საწოლით,**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**დგებუაძე რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით ა ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ., **დროებით წასულია.**

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—$1^1/_2$ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ხოსროევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. ოხსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. სადეზინფ... (წ.—1089—521)

---

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—100)

---

**ახალსთუმანში**

**კბილის ექიმი**

### ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—35)

---

### ექიმი პ. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—10)

---

### ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოხკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. [illegible])

---

### ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

### მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—70)

---

### ექიმი ვ. მუსხელიშვილი

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

---

### ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 17 [illegible]—407

---

**სურამში**

**კბილის ექიმი**

### ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 895.

**ე. ს. გამაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხოსროევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით.**

(წ.—1090—119)

---

## ტფილისი, 27 ივლისი

**მაჰმედ-ალის გამოლაშქრება.** ათასნაირი, ერთი მეორის საწინააღმდეგო დეპეშები მოდის სპარსეთიდან. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო, ჩვეულებისამებრ, ან სულ არავითარ ცნობებს იძლევა, ან კიდევ ძალიან პატარ-პატარა დეპეშებსა ჰგზავნის. რუსეთის სატახტო გაზეთების საგანგებო კორესპონდენტები კი ხშირად ერთი მეორის საწინააღმდეგო დეპეშებსა ჰგზავნიან. „ტიფლ. ლისტოკსაც" უგზავნის ცნობებს საკუთარი კორესპონდენტი. ამ ცნობების მიხედვით, მაჰმედ-ალი დაუყოვნებლივ მიიწევს წინ და თითქოს კიდევაც ახლოა სრულს გამარჯვებასთან. სხვა ცნობებით კი მაჰმედ-ალის წინააღმდეგ გაყვანილია საკმაო ძალა მეომრებისა. ამისთანა პირობებში, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი ხდება გამორკვევა იმისა, თუ რამდენად კარგად მიდის მაჰმედ-ალის საქმე ან რას უნდა მოველოდეთ ახლო მომავალში.

მიუხედავად ამისა, მაინც ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ მაჰმედ-ალისა და კონსტიტუციის მომხრეთა შორის დიდი შეტაკებაა მოსალოდნელი. როგორ გათავდება ეს შეტაკება, ამის გამორკვევაც ძნელია. ბევრია დამოკიდებული იმაზე, ჩაერევიან ევროპის სახელმწიფონი სპარსეთის შინაურ საქმეში, თუ არა. დღემდის ყველა ირწმუნებოდა, აზრად არავის აქვს საქმეში ჩაერიოსო. მაგრამ თვით ფაქტი მაჰმედ-ალის სპარსეთში დაბრუნებისა, ნათლად მოწმობს, რომ მას სწორედ ამ ჩარევის იმედი აქვს. ამის გარდა, ინგლისისა და რუსეთის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელიც მაჰმედ-ალის მებრძოლ მხარედ აღიარებს, უკვე ერთგვარი ჩარევაა. მაჰმედ-ალი, თუ იურიდიულის თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, მეამბოხეა და არა მებრძოლი მხარე. რუსეთსა და ინგლისსაც რომ ასე შეეხედათ, საქმისთვის და მაჰმედ-ალი მეამბოხედ გამოეცხადებინათ, მაშინ მისი დამარცხება და გამარჯვება კანონიერ მთავრობისა უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდა.

ამ პირველს ნაბიჯს ბუნებრივად მეორე ნაბიჯიც უნდა მოჰყოლოდა. მართლაც ასე მოხდა. აკრძალულია ბრძოლა თეირანიდან 30 ვერსის მანძილზე. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ თუ მაჰმედ-ალი ამ ადგილას ვერ დაამარცხეს, მას შეეძლება უბრძოლველად, რუსეთისა და ინგლისის დახმარებით თეირანში შევიდეს. ყველა ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ჩარევა არ არის სპარსეთის შინაურს საქმეებში, მაგრამ ასეთი განკარგულებანი რომ ხელს უწყობს მეამბოხე მაჰმედ-ალის რესტავრაციის საქმეს, ეს ცხადზე უცხადესია. აბლობელი მომავალი გვაჩვენებს, რითი გათავდება მაჰმედ-ალის გალაშქრება, ადვილად შეიძლება გაიმარჯვოს, მაგრამ საეჭვოა ეს გამარჯვება სპარსეთის დამშვიდების წყაროდ გადაიქცეს. პირიქით, მთელი წარსული მაჰმედ-ალისა იმის მომასწავებელია, რომ იგი კონსტიტუციონურ მართვა-გამგეობას ვერ შეურიგდება. განვლილი ბრძოლა კონსტიტუციის დასამყარებლად კი უტყუარ ნიშანს დაადებდა ხალხის ფსიხოლოგიას. რაც უნდა დიდი ნაკლი ჰქონოდა სპარსეთის კონსტიტუციურ მართვა-გამგეობას, მაინც იგი იმდენად განსხვავდებოდა თავის ჰუმანიზმით მაჰმედ-ალის დესპოტებს მართვა-გამგეობისაგან, რომ ახალს მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი ამ განსხვავებას აუცილებლად იგრძნობს. ამის გარდა, დღეს მაჰმედ-ალი და მთავრობა სრული მოწინააღმდეგენი არიან. ეს ორი მებრძოლი მხარეა და რბოროგორც ბრძოლის დროს, ისე ძოლის შემდეგ, სისასტიკეს ვერ ასცდება. თუმცა მაჰმედ-ალიმ გამოაცხადა, ჩემს მტრებს რბილად მოვეკიდებიო, მაგრამ საეჭვოა თავისი დაპირება შეასრულოს. ესეც რომ არ იყოს, ძალიან ბევრნაირად შეიძლება აიხსნას ეს „სირბილე." მეჯლისმა კი ეხლავე საჩუქარი დაუნიშნა იმას, ვინც მაჰმედ-ალის მოჰკლავს. ეს ისეთი უკიდურესი ზომაა, რომლის შემდეგაც არავითარ კომპრომისზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ უფრო მოსალოდნელი ისაა, რომ მაჰმედ-ალი, კიდეც რომ გაიმარჯვოს, ზომიერ გზას ვერ დაადგება. მისი გამარჯვება დასაწყისი იქნება ძველი ნაშთების სისტემატიურ აღმოფხვრისა, რაც უეჭველია წინააღმდეგობას გამოიწვევს..

მაშინ ჩვენ თვალ-წინ გადაიშლება ძველი სურათი ხალხის ბრძოლისა მაჰმედ-ალის რეჟიმთან...

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ვარსკვლავთ მრიცხველნი გვარწმუნებენ, ცის მნათობნი და საერთოდ მთიებნი ცისა იმიტომ არა სცვივა სადმე უფსკრულში და ერთმანეთს არ ეჯახება, რომ არსებობს მიმზიდველი და მანრიდებელი ძალთა. თითქოს ასეთივეა ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაც ჩვენ დედამიწაზეც. ყოველივე სახელმწიფო მისჩერებია მეორეს და ხან განირიდებს, თავიდან იშორებს, ხან კი კალთაში ებღაუჯება და არ უშვებს. ამნაირად არსებობს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა ძალთა თანაბრობა. ამ თანაბრობისათვის შრომაში ვინ იცის რა და რა პრინციპებს არ ხელმძღვანელობენ, ხოლო ის კი ცხადია, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში, დიდი გასავალი აქვს

ეგრედ წოდებულ „ბუშმენურ ლოღიკას“: როდესაც მე მოვტაცებ ვისმე ცოლს ეს კარგია, როდესაც მე მომტაცებენ—ცუდი“-ო.

ამ ორი წლის წინად რუსის რამოდენიმე ოფიცერი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სპარსეთის ამბებში. პოლკ. ლიახოვმა, მაგ., სახელიც კი გაითქვა რევოლიუციასთან ბრძოლაში; მაშინდელ შაჰის მოჰამედ-ალის ქომაგობით. მაშინ ინგლისის დიპლომატია უკმაყოფილებას აცხადებდა და რუსეთს ნეიტრალიტეტის დარღვევას აბრალებდა. რუსეთის დიპლომატია კი თავს მართლულობდა. ახლა როლები შეიცვალა. თეირანში ინგლისის სამხედრო აგენტი მაიორი სტოკსი შესულა სპარსეთის სამხედრო სამსახურში და მოჰამედ-ალის წინააღმდეგ მოქმედებასა კისრულობს. ახლა „ნოვოე ვრემია“ ამას ნეიტრალიტეტის დარღვევადა სთვლის და ინგლისის დიპლომატია კი, თუ მან სტოკსის თხოვნას ნება დართო, ეცდება თავი იმართლოს.

„ნოვოე ვრემია“ სწერს:

„მაიორ სტოკსის მოვლინება სპარსეთის ჯარის უფროსად რომელიც მოჰამედ-ალის წინააღმდეგ იქნება მიმართული, გაცილებით უფრო სახიფათოა რუსეთ-ინგლისის კეთილგანწყობილებისათვის, ვიდრე ორი წლის წინად თეირანის ამბებში რუსის ოფიცრებისა.. მაიორი სტოკსი თავის-თავად არაფერს წარმოადგენს და მის შესახებ ლაპარაკიც არა ღირს... მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ჩვენი შეხედულება და სიმპატია ამა თუ იმ მებრძოლ მხარისადმი, პოლიტიკურად ჩვენ მომხრე ვართ არ ჩავერიოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შინაურ საქმეში“...

ასე ამბობს „ნოვოე ვრემია“, მაგრამ რა თქმა უნდა იგი ვერ დაჰგმობს რუსის ჯარის მიერ რეშიდ-ულ-მულკის განთავისუფლებას (იხ. დღეს „უცხოეთი“).

***

იგივე „ნოვ. ვრემია“ უმაღლ. კურსებიდან ქალების დათხოვნაზე სწერს:

„როგორც მოსალოდნელი იყო, განათლების მინისტრის ბრძანებით პეტერბურგის საქალებო სამკურნალო კურსებიდან 1,270 მსმენელი გამორიცხეს, ე. ი. კურსების თითქმის მთელი შემადგენლობა დათხოვნილია 27-ის გარდა. ამასთგან მხოლოდ 15 ქალი ათავებს კურსს, პირველ კურსზე (250 თავისუფალი ადგილია) 150 მსურველი კიდეც არის და იმედია სექტემბრამდე დანარჩენიც შეივსება; ასე რომ სწავლა არ შესწყდება (?!)... სახარება, რომელიც ყოველთვის გამარჯვებულთაგან ითელება, მაშინ აგონდებათ ხოლმე როცა მორიგდებიან. ასეა ახლაც: სამინისტროს უფლება არა ჰქონდა ისეთი ზომა მიეღო, რასაც ბევრისათვის უბედურება მოაქვს. სახარების სიტყვები არ აგონდებოდათ, როდესაც მოწაფენი პროფესორებს სილას ულაწუნებდნენ, მაგრამ როცა ისინი გამოაგდეს, სახარება მოაგონდათ. სახარება ყოველთვის უნდა გვახსოვდეს-გამარჯვებაშიაც და დამარცხებაშიაც!..

დიაღ, სახარების სიტყვები უნდა გვახსოვდეს: თუ ვინმემ მარცხენა ყვრიმალში გთხლიშოს, მარჯვენა მიუშვირეო. აქ კი... შურის ძიებაა გამარჯვებულისა. მართლდება მრავალ გზის გამოცდილი სიბრძნე: vae victis! (ვაი დამარცხებულს!)

## ახალი ამბავი

ტფილისი

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი შატილოვი მსროლელ რაზმთა ადლუმის დასასწრებლად კავკავს გაემგზავრა.

✦ მიწადმოქმედ და მიწადმომწყობ მთავარ გამგის კავკასიის რწმუნებული ბ. არხიპოვი, 23 ივლისს ქუთაისის გუბერნიასა და ბათუმის ოლქს გაემგზავრა, სადაც დაათვალიერებს სასოფლო სამეურნეო დაწესებულებას, სანერგეებს, ჩაისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებს. ინახულებს უფროსი აგრონომი ბ. დემენტიევი.

✦ კონსტანტინე იოსების ძე ხვიმონიშვილი ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწედ დაამტკიცეს.

✦ მსწრაფლ დახმარების გამწევმა სადგურმა უკვე დაიწყო მოქმედება. ჯერ-ჯერობით სადგურს ერთი კარეტა აქვს და შესაფერი შტატი ჰყავს.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა გამგეობაში წინადადება შეიტანა, ქალაქის ლომბარდი ძველ—შეუფერებელ ბინიდან ტუნიბეგოვის შენობაში გადმოიტანოთ (გრიბოედოვის ქუჩაზე), რომელიც ტუნიბეგოვის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ანდერძით ქალაქის ხელში გადადისო.

✦ ახალი კლუბის გამგეობაში, როგორც გადმოგვცეს, შემდეგი აზრი გამოთქმულა: რადგანაც კლუბის საქმე ძლიერ კარგად მიდის, დამას შეძლება აქვს ზამთრის სადგომისათვის შესაფერი თანხა გაიღოს, წინადადება მისცეს თავად აზნაურობას, რომ ადგილი ქარვასლაში ბადიდან დაწყებული წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიამდე მას დაეთმოს ქირით. ჰფიქრობენ, მოაწყონ ზამთრის ჩინ, და გააკეთონ დიდი საკონცერტო დარბაზი.

✦ ტელეფონის სამაგისტრალო მილების მიწაში ჩაწყობა უკვე დამთავრდა და ეხლა გამნაწილებელ მილების ჩალაგებას შეუდგნენ, ეს მილები უმთავრესად ქუჩების ფილაქნების ქვეშ იქნება. საჭირო მასალა უკვე მიღებულია. იმ თვას დამდეგში ელიან ამ მილების ქარხნის პატრონს და როცა მილებს მიიღებენ, ჩააწყობენ კიდეც.

✦ 22 მკათათვეს, ელექტრონის ტრამვაის სახელოსნოში აფეთქება მოხდა და ორი მუშა დაშავდა. ამ საქმის გამოძიება ჩაჰბარდა მესამე ნაწილის გამომძიებელს, რომელმაც ქალაქის საბჭოსა სთხოვა, ორი ექსპერტი დამინიშნეთ, რომ ამ საქმის გამოძიებაში ხელი შემიწყოსო. საბჭომ დანიშნა ინჟინერი კოგნოვიცკი და ინჟინერ-ტეხნოლოგი სიმონოვსკი.

✦ კახეთის რკინის გზის მთავარ ინჟინრად დაინიშნა ინჟ. რაციბორსკი, მის თანაშემწედ—თავადაზნაურობის წარმომადგენელი ინჟ. გ. პ. თუმანიშვილი.

✦ სანიტარული დათვალიერება. გუშინ-წინ სასანიტარო კომისიამ ქალაქის სასანიტარო ექიმის ბ. მირაქოვის მეთაურობით, ფელდშერის ხახანაშვილის და უბნის ზედამხედველის სარჩკოვის მონაწილეობით, დაათვალიერა რესტორანები, სამზარეულოები და საწყობები, სხკუპნაოები: „მიმოზაში“, „აპოლოში“, „რუსთა კლუბში“, „საარტისტო საზოგადოებაში“ და „ვეტცელის“ ბაღში. ყველგან სისუფთავე და წესრიგიანობა აღმოჩნდა.

✦ გუშინ დღით გამოურკვეველ მიზეზების გამო ცეცხლი წაეკიდა ნარიის აღმართზე მდებარე სოლომონ ივანეს ძე მირთტაძის სახლს № 9. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ძლივძლივობით გადაარჩინა ნახევრად დამწვარი სახლი. ზარალი 6000 მანეთს აღემატება. სახლი რუსეთის საზოგადოებაში დაზღვეული.

✦ 25 ივლისს პოლიციელებმა შეიპყრეს ტფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული სოფ. ვაზლოვ ნის მცხოვრები (ტფილისის მაზრა) გიორგი არჯევანის ძე მამაცაშვილი, რომელიც თავის ნებით დაბრუნებულა.

✦ 25 ივლისს, რუსის ქუჩაზე, მე-4-ე უბნის ბოქაულმა შეიპყრო სოფ. კურდღელაურის (თელავის მაზრა) მცხოვრები, ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული, იოსებ ლაზარის ძე ტურაშვილი, რომელიც თავის ნებით დაბრუნდა ტფილისში. ტურაშვილს კან. 63 მუხლის ძალით სამართალში აძლევენ.

✦ ფოთის ქუჩაზე სოფ. ჯიხაისის (ქუთაისის გუბერნია) მცხოვრებ გერასიმე კოჩახიძის ხუთი წლის შვილი შალვა გაუფრთხილებლობის გამო მეორე სართულის აივნიდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა. ყმაწვილი რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ ნაზარეთის ქუჩაზე დარაჯად მდგომ მეეზოვეს ისაკ ფაილარაშვილს მიუახლოვდა ორი უცნობი, უეცრად ეცნენ და წაქცევა უნდოდათ. ფაილარაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია და პოლიციელებს დაუსტვინა. მაშინ ერთმა უცნობთაგანმა გულში გაარტყა მუშტი და უცნობნი მიიმალნენ. ფაილარაშვილმა თავდამსხმელებში იცნო სოფ. ახალსოფლის (ტფ. მაზრა) მცხოვრები დავით წიკლაური და სოფ. ნიჩბისის (გორის მაზრა) მცხოვრები გრიგოლ ზოგიაშვილი. პოლიციელებმა ორივენი შეიპყრეს.

### წვრილი ამბავი

✦ ბობის მისახვევში მცხოვრებ, სახ. № 4, სოფ. საგარეჯოს მცხოვრებ ალექსი მჭედლიშვილის სახლიდან უცნობთ 53 მანეთის ნივთი გაუტაცნიათ. ეჭვი მიიტანეს და შეიპყრეს სააკ ადვალოვი.

✦ 24 ივლისს მტკვრიდან ამოიღეს დამხრჩვალის ახალქალაქის მცხოვრების (გორის მაზრა) ბაგრატ ხეჩოევის გვამი.

✦ 24 ივლისს, დილის 3 საათზე, მუშტაიდის ბაღში პოლიციელებმა 23 უსახლკარო შეიპყრეს.

✦ 25 ივლისს ტფილისში 15 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ ამომრჩეველთა სიების შემმოწმებელმა კომისიამ, უკანასკნელ კრებაზე პირველ უბნის ამომრჩეველთა სიები შეამოწმა.

### სასწავლებლებში

✦ სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომ სასულიერო სასწავლებლებში ზედამხედველებად უეჭველად სასულიერო პირნი ინიშნებოდნენ და თუ ისეთები არ მოიპოვებიან, მაშინ მეთვალყურეებს სინოდის ამორჩევით გაანწესებენ.

✦ აგვისტოს შუა რიცხვებში დამთავრდება ა. მანთაშევის ხარჯით ანაგები სავაჭრო სკოლის ახალი შენობა. სკოლის მზრუნველთა დადგენილებით წელს მეოთხე მოსამზადებელი კლასიც გაიხსნება. ასე რომ ეხლა სკოლა ოთხი მოსამზადებელისა და სამი სპეციალური კლასისაგან შესდგება. ახალი შენობა 150,000 მანეთად დამჯდარა.

### სომეხთა ცხოვრება

✦ ცნობილი ლინგვისტი მასწავლებელი სტეფანოს მალხასიანი, რომელსაც ბრალად დაშნაკცაკანების პარტიაში მონაწილეობა ედებოდა და სამართალში 102 მუხ. ლის ძალით იყო მიცემული, სენატის პირველ დეპარტამენტის განკარგულებით პასუხისგებიდან სულ განთავისუფლეს.

✦ დიდ კარაკლისის მერძეობის კურსების მსმენელნი აგვისტოს შუა რიცხვებში ექსკურსიით გორის მაზრაში (ტფილ. გუბერ.) გაემგზავრებიან, სადაც რძისა და შვეიცარიის ყველის სამრეწველოს დაათვალიერებენ.

✦ სომხურმა დრამატიულმა საზოგადოების გამგეობამ მომავალ სეზონისათვის დასი უკვე შეადგინა. დასში შედიან მსახიობნი: ქ. ქ. ადამიანი, მაისურიანი, სირანუშ, ზაბელი, ჟასმანი, არმენიანი, ბ. ბ. აბელიანი, სევუმიანი, ავეტიანი, ლაქა, არმენიანი და სხვა. რეჟისორად აბელიანი და სევუმიანია მიწვეული. სეზონი დაიწყება ოქტომბრის პირველ რიცხვებში საარტისტო საზოგადოების თეატრში.

✦ ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ სომხურ წარმოდგენების მმართველი სექცია თეატრის შეკეთების შემდეგ, აგვისტოს პირველ რიცხვებიდან დაიწყებს წარმოდგენების მართვას.

✦ მსახიობ ბ. ბ. სევუმიანის და არაქსიანის (ყარსის ოლქის) დასმა დილიჟანში რამდენიმე წარმოდგენა გამართა. სხვათა შორის ა. ცაგარელის „ხანუმაში“, ხანუმას როლი თვით ბ. არაქსიანს შეუსრულებია.

### ბაქო

✦ სომეხთა კულტურულ კავშირის გამომცემელმა სექციამ გადასწყვიტა სასოფლო სამეურნეო მრეწველობის რამდენიმე პოპულიარული წიგნი გამოსცეს და გლეხკაცობაში გაავრცელოს.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ფელეტონში შემდეგი შეცდომები შეგვეპარა: პირველ სვეტში შინაარსის ზემოდან მეორე სტრიქონში ეწერა: **სარდარასადა,** უნდა იყოს **სარდარაზში.** მეორე სვეტში ზემოდან ოც და-მეხუთე სტრიქონში ეწერა: **დიდ ვერს** უნდა იყოს **დიდ ვეზირს;** იმავე სვეტში 33 სტრ. ეწერა: თანამდებობაზე ახლად დანიშნული ჩინოვნიკთა შტატს **ამბაირი სეხხით** გაიჩენდა, უნდა იყოს: თანამდებობაზე ახლად დანიშნული მოხელეთა შტატს **ამნაირი 30 წესით** გაიჩენდა. მეშვიდე სვეტში, ზამოდან 22 სტრიქონში სწერია: შვილი ჰარამხანის ქალებს არ **ანდო და ზრდიდა,** უნდა იყოს **თითონ ზრდიდა;** მერვე სვეტში 24 სტრიქონში სწერია:.. ვინ იცის რამდენ ფეშქაშებსა **ჰკარგავდნენ** უნდა იყოს **ჰპარავდნენ,** 9 სვეტში მეხუთმეტე სტრიქონში სწერია:— **მამლების გაყიდვით,** უნდა იყოს **მამულების გაყიდვით.**

ამის გარდა სადაც **სარდარაზზი** სწერია **სარდარაზში** უნდა იყოს.

გუშინდელ პროვინციის ამბებში შეცდომითა გვქონდა მოხსენებული **ზინდისი (გორის მაზრა).** გუშინდელი ამბავი მოხდა სოფელ **ძალისში (დუშეთის მაზრა).**

## ჟურნალისტის დღიური

35.

**ყაჩაღობა.**

გაზეთებმა კვლავ გვაცნობეს, სოფ. ძალისში ყაჩაღებმა რამდენიმე კაცი მოჰკლესო. ძალისი დუშეთის მაზრის სოფელია; თუ მკითხველი მოიგონებს, სწორედ დუშეთის მაზრის სოფელში მოჰკლეს რამდენიმე კაცი ამ ცოტა ხნის წინად. — როგორცა სჩანს, დუშეთის მაზრის რაიონში მოქმედებს რამდენიმე კაცისაგან შემდგარი რაზმი ყაჩაღებისა; ეს შედარებით ისეთი პატარა რაიონია, რომ აქამდისაც უნდა მოხერხებულიყო ყაჩაღების დაჭერა, სამაზრო პოლიციას მეტი მხნეობა რომ გამოეჩინა.

მცხოვრებლები დიდიხანია შეწუხებულნი არიან ყაჩაღებისაგან, ამას თვითოეული კორესპონდენტი დაამოწმებს. ან რა საჭიროა მათი დამოწმება, როდესაც თავის თავადაც ცხადია ესა: საბოლოოდ ყველაზე მეტად სწორედ სოფლის მცხოვრებლები ზარალობენ. მიუხედავად ამისა, სოფლელები მაინც უძლურნი არიან რაიმე წინააღმდეგობა გაუწიონ ასეთ თავხედურად მივარდნილ, გამხეცებულ ყაჩაღებს. მთელი სოფელი რომ დაიაროთ, ერთს ხანჯალსაც ვერსად ნახავთ; უიარაღო ხალხს კი როგორ შეუძლიან შეებრძოლოს ბრაუნინგებსა და მაუზერებში ჩასმულ ყაჩაღებს? ბევრისაგან გამიგონია, და ხშირად ჩვენებური მემარჯვენე გაზეთებიც ამბობენ ხოლმე, ადგილობრივი მცხოვრებლები ხელს უწყობენ ყაჩაღებს, თორემ აქამდის მათი სახსენებელი გაჰქრებოდაო. ამისთანა უმართებულო საყვედურს ხშირად უთვლიან სოფლელებს, და კი არავინა სცდილობს ცოტა ხნის გლეხის მდგომარეობაშიაც შევიდეს. მაშინ მოსაყვედურე ადვილად მიხვდება, რომ თქმა ამისა ადვილია, მაგრამ შესრულება კი ძნელი.

ძნელია ამის შესრულება იმიტომ, რომ სოფლის მცხოვრები უპატრონოდაა დარჩენილი, არ არსებობს გარანტია, რომ თავისუფლად მოთარეშე ყაჩაღი შურს არ იძიებს და ერთი-ათად არ დაუსვამს ერთხელ მიყენებულ ზიანს. ყაჩაღი—ეს ისეთი ადამიანია, რომელსაც ყველაფერი დაუკარგავს, შერჩენია ერთი სიცოცხლე და ამასაც ადვილად არავის დაუთმობს. ამიტომ სოფლის მცხოვრებლებს ვერც შეუძლიანთ შეებრძოლონ ყაჩაღობას.

განსაკუთრებით ძნელია ეს მაშინ, როდესაც ყაჩაღობს არა ერთი ვინმე, არამედ რამდენიმე კაცისაგან შემდგარი რაზმი. ამისთანა პირობებში ბრძოლის საშუალებაც სხვანაირი უნდა იყოს. კერძო მკვლელობის დროს რომ საშუალებებს ხმარობენ, ამისთანა შემთხვევებში ასეთი საშუალებანი აღარ გამოდგებიან. როგორც ეტყობა, დუშეთის მაზრაში დათარეშობს, ჯგუფი რომელიც ერთი ადგილიდან მეორეში გადადის, მაგრამ საბოლოოდ დუშეთის მაზრას მაინც ვერ გასცილებია.

## ბიძია ანდრია

(გრაცია დელლედასი).

თ ა რ გ მ ა ნ ი.

ჩვენსა, სარდინიაში, შობაზე უფრო აღდგომას დღესასწაულობენ და სამებას აღდგომაზე მეტად.

სარდენელი—პოეტია სულით, ოღონდ მეტად ღარიბი. მწყემსისა და გლეხისათვის შობა უმძიმესი დროა. არც სააღდგომოდ აკლია ფიქრი და ზრუნვა; მაგრამ სააღდგომოდ ცოტად თუ ბევრად გამორკვეული აქვს, როგორი იქნება მოსავალი, ზეთის ხილიც დაკრეფილია და საქონელიც უზრუნველყოფილია ახალის ბალახით. სამების დღისთვის კი პურს თავთავი ევსება კიდეც, ნახირი იზრდება. ამ დროს არის, რომ ჰკრეჭენ ცხვარსა და დაღავენ ხარებსა და ხბოებს. ყოველი ასეთი შემთხვევა—დღესასწაულია სოფლის მშვიდობიან ცხოვრებაში.

საქონლის პატრონები სახლობით, მთელის ოჯახობით, მიდიან საძოვარ ადგილებში და იქ მწყემსებთან ერთად ატარებენ მთელ დღეს. ყველას აერთიანებს ერთი და იგივე სადღესასწაულო განწყობილება და ის ფხიზელი და საღი სიხარული, რომელსაც ბადებს ბუნებასთან დაახლოვება.

***

არ შემიძლია მოვიგონო სოფლის ეს უბრალო დღესასწაულები და არ ავღელდე! თითქო შორეულ, დიდის, დიდის ხნის წარსულს ეკუთვნის... არა ერთხელ მიამბნია მათ შესახებ, მაგრამ მაინც კიდე, მოვიგონებ თუ არა,—რაღაც იღვიძებს სულის სიღრმეში, ვით ძველი, დავიწყებული სიმღერა.

მახსოვს ერთი შემთხვევა,—ახირებული და საგრძნობელი.

სწორედ დღესასწაული იყო, ჩემს ოჯახს პატარა ნახირი ჰყავდა. მწყემსად ბიძია ანდრია გვყავდა.

სამების წინა დღეს საძოვარში წასასვლელად დავემზადეთ ხბოებისა და ხარების დასადაღად. თან გვახლდნენ ყველა ჩვენი შინაურნი, ჩვენი უწინდელი მოსამსახურე ქალი მოხუცი ნენედდა და მასთან ხუთის წლის მშვენიერი პატარა ბიჭი. ჩვენი ნენედდა, კეთილი სულიო რომ იტყვიან, სწორედ ის იყო; ერთი იმ ქალთაგანი, რომელნიც ყველგან, სადაც კი მოფერება და დახმარებაა საჭირო, თავის ადგილას არიან. ახლაც ისე ვერ ვიგონებ, თუ არა მტირალისთვის ნუგეშის მიმცემს, დაჭრილის იარის შემხვევს, წაჩხუბებულების შემარიგებელს, ამასთან დიდი ხუმარა იყო და მოსწრებული და გონიერი სჯა იცოდა.

— საბრალო—ობოლია, ამბობდა პატარა ბიჭის შესახებ, თან რომ ახლდა: მამა მოუკვდა; დედა ავად არის, ძლიერ ავად და არც გროში გააჩნია.

პატარა ბიჭს, რომელიც მეეტლეს უჯდა გვერდით, თითქო სრულებითაც არ აწუხებდა მისი მწარე ბედი: ეტლში გაბმულ ხარებს წკეპლას სცემდა, უყვიროდა და სულ ხარხარებდა. დრო გამოშვებით მიიბრუნებდა ნენედდასაკენ თავის ფუნთუშა წამოწითლებულ პატარა სახეს, თავის დიდრონ შავის თვალების შუქს მოავლებდა, მერე მიიფარებდა პატარა თათუნებს თვალებზე და ისევ გაისმოდა მისი ცელქი ხარხარი.

ეტლი, რომელშიაც მხოლოდ ქალები ისხდნენ,—კაცები წინ მიდიოდნენ ცხენით, ნელ-ნელა მიდიოდა დაუსახლებელ მწვანე მინდვრად. მშვენიერი დღე იყო. ოდნავის ნისლით გარშემორტყმული მთები მოცისფრო ფერისანი მოსჩანდნენ ჰორიზონტზე. შორს ჩადუნას ბუჩქებს შუა გამოიყურებოდა მოალისფრო, ყვითელი კვრინჩხნარი. ჩვენი მეეტლე სახრის ბოლოთი გვაჩვენებდა საძოვარ ადგილებს და მათის პატრონების შესახებ გვიამბობდა.

— აი ეგერ, ხედავთ, ქოხია, გვეუბნებოდა მეეტლე, მინამ შავ-მოწითლო ძროხებისაგან გადაჭრელებულ საძოვარზე მივდიოდით.—იმ ქოხში ამ ექვსის წლის წინად ის გლეხი სცხოვრობდა, რომელმაც ბიძია ანდრიას მოსტაცა ქალი. გახსოვთ? ბიძია ანდრიას არ უნდოდა, რომ მისი ქალი გაჰყოლოდა იმ გლეხს და არც აპატია. მას აქეთ გახსენებაც აღარ უნდა მისი...

ორის საათის სიარულის შემდეგ შევედით მშვენიერს, ყვავილებით სავსე ტყეში, ყვავილების სუნით სავსე იყო იქაურობა. ბიძია ანდრია შემოგვეგება, ხელს გვართმევდა ყველას, გულკეთილად ოხუნჯობდა. სრულებითაც არა სჩანდა ისეთი მიუკარებელი, როგორადაც გვისახავდნენ: პირიქით მხიარული და მხნე მოხუცი ყოფილიყო, ჯერ კიდევ ტანადი, მიუხედავად თავისის სამოცდა ათის წლისა, დაბალ დაბალი, გამხდარი, შავგვრემანი, მოკლე და ჰადარა წვერიანი და საკვირველად ცოცხალ თვალებიანი, რომელნიც დაშვებულ ჰალარა წარბებ ქვემოდგან გამოიყურებოდნენ.

— ჰე, როგორც ვხედავ, შესანიშნავი მცველი გყოლიათ! წამოიძახა ბავშვის დანახვაზე, რომელიც მისჩერებოდა და სინჯავდა მოხუცს.— როდესაც მაგისთანა ყოჩაღი გახლავთ, რომელი ღა ავაზაკი შეგაშინებთ! აბა, შენი თოფი სადღაა, გმირო? როგორ? თოფი არა გაქვს? ხისაც კი არა? შენი შვილია, განა, ნენედდა?

— სადღეისოდ ჰო, მიუგო ნენედდამ.

— დედა მისი ავად არის.

მოხუცი და ბავშვი ჩქარა დამეგობრდნენ.

— ძროხები უნდა მოვწველო, განაცხადა პატარამ.—ხარები მინდა ვნახო. არაფრის მეშინია, მე გულადი ვარ. ბიცოლამ მითხრა, რომ გარეული ღორები დადიან—მინდა დავინახო. მე არ მეშინია!

— კეთილი, კეთილი! ამბობდა მოხუცი.—მესმის! შენ მხედარი ხარ და ომი გწყურია. აი ერთ ნაჭერ ყველს მოგცემთ, თაფლს და მათზე ადვილად გაიმარჯვებ.

— ჰო, მაგათ ეხლავე შევჭამ, უპასუხა ბალღმა.

პატარამ დაიწყო სირბილი და მოხუცის ქოხის ყველა კუთხე დაათვალიერა. ხანდახან მივარდებოდა ბიძია ანდრიას, ორთავენი იცინოდნენ და მეგობრულად ლაზღანდარობდნენ.

ქალები სადილს ამზადებდნენ. კაცები ხბოებსა და ხარებს აბამდნენ და მერე რიგ-რიგად მიჰყავდათ იქვე ბაგასთან.

ბიძია ანდრია ახურებდა სადაღავ რკინის კეტს და საბრალო საქონელს ზურგს უდაღავდა. საწყალი ხარები მოულოდნელის ტკივილისაგან იგრიხებოდნენ და საზარლად ბღაოდნენ, და აუშვებდნენ თუ არა, გარბოდნენ და ილოკავდნენ დაღით დამწვარ ადგილს, სადაც პატრონის სახელის ასოები იყო ამოჭედილი.

ბავშვს თვალები განივრად გაეღო და ყურადღებად გადაქცეულიყო; ყველაფერს რაც კი ხდებოდა თვალს ადევნებდა და—როდესაც ბღავილი მატულობდა შეშინებული ხარები გაურბოდნენ წამებას, შიშისაგან კანკალებდა და უკან იხევდა.

— როგორ? ხუმრობდა ბიძია ანდრია.

— გარეულ ღორების ნახვა გინდა და უბრალო რამისა კი გეშინია?! აკი გეუბნებოდი, რომ ყველსა და თაფლსა თუ შეებრძოლები-მეთქი. ჩემთან ღამის თევა კი გინდოდა, ღამის მეხრეობას ჩემულობდი!

— ჰო, ჰო, მე დავრჩები შენთან, გაიძახოდა პატარა.—მაგრამ თოფი უნდა მომცე, დანა უნდა მომცე და მსხვილი კომბალი: ყველა ბოროტ ადამიანს დავხოცავ.

თუ სამაზრო პოლიციამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს და ყაჩაღებს გზა მოუჭრა, მაშინ მათი დაჭერაც არ უნდა იყოს ძნელი...

**შანშური.**

# მსწრაფლ-დამხმარე სამკურნალო სადგური

ტფილისში

(ჟუკოვსკის ქუჩა N 4, ტელეფონი 600)

**სადგურით სარგებლობის წესები.**

**მუხ. 1.**

სადგური პირველ სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენს დღისით და ღამით, უბედურ შემთხვევებში, ან უეცარ ავადმყოფობის დროს, კერძო ბინის გარედ, ესე იგი ქუჩაში, მოედნებზე, ქარხნებში, სამრეწველოში, თეატრებში, ცირკში, სასადილოებში, სასტუმროში, სასწავლებელში, სახაზინო და კერძო კანტორებში, რკინის გზის სადგურებზე, თავშესაფარ სახლში, მაღაზიებში, ადგილობრივ სახალხო სეირნობაზე და სხვა. აგრედვე დახმარებას გაუწევენ სარდაფში, ბელლებში, კიბეებზე, სხვენში მომხდარ უბედურ შემთხვევის დროს, და ყოველთვის, როდესაც დაშავებული სახლის გარედაა და სადგურის ეტლის მოსვლამდე რომელიმე კერძო ბინაზე (ან სხვის სახლში) მოათავსეს.

**მუხ. 2.**

**ექიმები არ წავლენ** ა) გადამდებ ავადმყოფებთან, ბ) მთვრალებთან, თუ სერიოზულად არა დაშავდათ რა, გ) სულით ავადმყოფებთან, დ) კერძო ბინებზე, ე) სადგურის სამოქმედო ფარგალ გარეშე მდებარე უბნებში.

**შენიშვნა.** კერძო ბინებზე მისვლის უარს არ იტყვის სადგური, მხოლოდ მაშინ, როდესაც დაშავებულის სიცოცხლე განსაცდელშია და დაუყოვნებელი მიხედვა სჭირია. ასეთია შემთხვევები: მოწამვლა, სულის შეგუბება, მძიმე ჭრილობანი, ძლიერი დაწვა, თავის მოკვლა; ჭერის ჩამოწოლის დროს მომხდარი უბედურებანი, ისეთი დასრესვა, თუ ქვეშ მოყოლა, რომელიც სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, გაზის აფეთქების შედეგი, ნახშირბადით თავბრუს დასხმა (უგარი), ელექტრონის ნაკადით (ტოკი) დაშავებულნი.

**მუხ. 3.**

ყოველ ტფილისელ მკვიდრს, ნამდვილს საჭიროებისამებრ, უფლება აქვს პირდაპირ მსწრაფლ დამხმარე სადგურს მიმართოს და არავის შუამდგომლობა საჭირო არაა.

**მუხ. 4.**

გამომძახებელმა ტელეფონის მილს ყური არ უნდა მოაშოროს და ყველა კითხვის პასუხი უნდა მისცეს: რა მოხდა, ქუჩა, სახლის ნომერი, ბინის ნომერი, ვინ იტყობინება? და სადგურის მკურნალის პასუხს უნდა დაუცადოს, „მოვდივართ“ ან „არ მოვდივართ“.

**მუხ. 5.**

ეტლი არ დაიძვრის, თუ დამძახებელი ადრესის თქმის შემდეგ, სადგურის პასუხს არ მოუცდის და ტელეფონს მოსცილდება და თუ ხელ-მეორედ სადგურთან გამოლაპარაკების შემდეგ პასუხს 1/4 არ მიიღებს.

**მუხ. 6.**

როდესაც პასუხს მიიღებთ, „მოვდივართო“, ეტლი იმწამსვე დაიძვრის სადგურიდან; ამისათვის არ უნდა გეფიქრებოდეთ რომ ეტლი არ მოვა—იგი ყოველთვის და სწრაფად გაჩნდება ადგილზე.

**მუხ. 7**

დახმარების აღმოჩენის შემდეგ ექიმები, ავადმყოფის მდგომარეობის მიხედვითა და თანხმობით, იგი თავის მოსაზრებისამებრ გაისტუმრებენ ამა—თუ იმ საავადმყოფოში, სახლში, ან და იქვე ადგილობრივ დასტოვებენ.

**მუხ. 8**

ეტლში ავადმყოფის მახლობელთ გაცილების ნებას განსაკუთრებულ შემთხვევაში იძლევიან, ისინიც მკურნალის დასტურით.

**მუხ. 9**

როდესაც მკურნალი ადგილობრივ მოვა, დარწმუნდება რომ ცნობანი სწორედ არ შეატყობინეს, ან უწყებული შემთხვევა სადგურის დანიშნულებას არ შესაბამება, ან სხვა ექიმს უკვე აღმოუჩენია დახმარება, მას უფლება აქვს დახმარების უარი განაცხადოს.

**მუხ. 10**

სადგურის მკურნალნი აღარ წავლენ ხელმეორედ ერთსა და იმავე ავადმყოფთან, პირველ დახმარების შემდეგაც წამლობას არ განაგრძობენ.

**მუხ. 11**

სადგური დახმარებაში არავითარ სასყიდელს არ იღებს იმის მიუხედავად, დაშავებული მდიდარია, თუ ღარიბი. მსწრაფლ დამხმარე სადგური სთხოვს, ექიმებს გასამრჯელოს შეთავაზებით ტყუილ-უბრალოდ ნუ შეაწუხებენ, რადგანაც იგინი ვერავითარ შემთხვევაში გასამრჯელოს ვერ აიღებენ.

სანიტარები და მეეტლე, თუ რაიმე საჩუქარი აიღეს, დაუყოვნებლივ გამოირიცხებიან სამსახურიდან.

ვისაცა ჰსურს კომიტეტს დაეხმაროს, დახმარებას გადასცემს მკურნალს, რომელიც სათანადო ბარათს მისცემს.

ცენტრალურ სატელეფონო სადგურზე საკმარისია უთხრათ: მსწრაფლ დამხმარე სადგურსა ვითხოვ“.

**კომიტეტის თავმჯდომარე გუბერნატორი ა. ჩერნიავსკი.**

მდივანი:

**სასანიტ.-ექიმ. ინსპექტორი გ. სტონანოვი.**

# მცირე შენიშვნა

**(ბ-ნ გ. ბურჭულაძის წერილის გამო).**

ამ ჩემს პატარა შენიშვნას პოლემიკის ხასიათი არა აქვს მხოლოდ მინდა ბ-ნ ბურჭულაძეს შევნიშნო, რომ მას ზოგ ადგილას მკითხველი შეცდომაში შეჰყავს, როცა ცდილობს ჩემი ლექციის შინაარსის გადმოცემას „სახალხო გაზეთი“-ს მე-355 ნომერში (ეს წერილი ამ სათაურით დაიბეჭდა: „ლექციები ქიათურაში“).

უპირველესად ყოვლისა, ის მინდა შევნიშნო ბ-ნ რეცენზენტს, რომ როდესაც რომელიმე ლექციის შინაარსს ეხება, საჭიროა აღნიშნოს ლექტორის საზოგადო შეხედულება ამა თუ იმ საგანზე და შემდეგ გადავიდეს მის დეტალებზე; ბ-ნ ბურჭულაძეს გვერდი აუხვევია ამ საზოგადო დახასიათებისათვის, მას არ აღუნიშნავს თუ რაგვარი მიმართულება სჭარბობს დღეს ჩვენს ლიტერატურაში—რას მივაწერე, უმთავრესად, სალირიკო პოეზიის აყვავება, ეპოსის დაცემა, პოეტების გამრავლება და სხვ. მას არა უთქვამს რა იმის შესახებ, თუ რამ შეუწყო ხელი პესიმიზმის აყვავებას, იმ პესიმიზმისას, რომელსაც მეტად ინდივიდუალური ხასიათი აქვს და რომელიც ყოველთვის „კრებულობითი დასაწყისის“ გარეშე ვითარდება, თავის თავის ანალიზის საფუძველზე...

ჰამლეტიზმი, რეფლექსია და სხვ. ქმნის ხელახლა ძალთა გადაფასებას, რომლის შემდეგ პიროვნება ბრძოლის უნარს ჰკარგავს და სასოწარკვეთილებას ეძლევა.

ასეთ მდგომარეობაში არის, ჩემის აზრით, ჩვენი დღევანდელი პოეტების უმრავლესობაც, რომლებმაც რეაქციის შემდეგ ამოყვეს თავი და საკუთარ სულის სწრაფვაზე და ტკივილებზე დაგვიწყეს გაასი. მათთვის არც ის არის საინტერესო გაიგებს თუ არა მკითხველი ამა თუ იმ სალირიკო ნაწარმოებს, მას მხოლოდ სევდის მხილების წყურვილი ჰკლავს და ისინიც უკანტროლოდ მოგვითხრობენ ამ ტკივილებს და ცრემლებზე. ამგვარი პოეტები, რადგან ისინი სინამდვილის აღწერას გაურბიან, და თავის სუბიექტიურ „მეს ფარგლებში თავსდებიან, ვერასოდეს ვერ იშოვნიან მიმდევრებს და თანდათან დაკარგავენ ხალხში გავლენას, რადგან მათ შემოქმედებას ვიწრო ინდივიდუალიზმის ბეჭედი აზის. ეს პოეტები თავიანთ პოეზიის მოტივებს დროსა და სივრცის გარეშე დაეძებენ, მაგრამ, რასაკვირველია, იქ ვერაფერ სანუგეშოს პოვებენ და დაკარგულ „ლურჯ ფრინველსა“ ჰგოდებენ და სტირიან:

„რა მოწყენაა! ოხ ღმერთო ჩემო! ირგვლივ სიჩუმე ვით მკვდრის სამარე!

. . . . .

„გულს რაღაც ქენჯნის, სული კი ობლობს თითქოს იჩრდილება თანაც იმედი...

„ფეხებ ქვეშ თითქოს მიწა მერყევა, ნაჩვევმა კერპმა სახე იცვალა და სხ.“..

(მალაქიაშვილი).

აი სწორედ ეს ობლობა და ობლობაში იმედის ძიება ახასიათებს, ჩემის აზრით, ჩვენი ახალგაზდა პოეტების შემოქმედებას, მაგრამ სანამ იგი ობლი იქნება, სანამ იგი საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან გარიყული დარჩება მანამ ვერც ამ იმედს ჰპოვებს და მისი ვითომდა მიზანი „ნაჩვევი კერპი“ მუდამ „სახეს იცვლის“. ამ იმედის ძიებაში ჩვენი პოეტები განირჩევიან. ზოგი მათგანი სულის მარტოობის საზღვარს ვერ ჰლახავს, მაგრამ, ამავე დროს, თითქოს შიშობს, ვაი თუ ლექსში უიმედობა დავსახე და პესიმისტობა დამწამესო და თავის შემოქმედებას ვიწრო პროგრამულ ფილოსოფიას უფარდებს, ასეთი ნაწარმოები ტენდენციოზურ ხასიათს ღებულობს და აქ პოეზიაც ბევრსა ჰკარგავს, ასეთი პოეტი წინააღმდეგობაში ვარდება და მისი ლექსის დასაწყისი და დასასრული ურთი-ერთს არ შეესაბამება, ასე მოსდის ხშირად ბ-ნ ჩხიკვაძეს, ზომლეთელს, მალაქიაშვილსა, და რამდენიმედ ქუჩიშვილს და თურდოსპირელსაც. აი რატომა ვსთქვი არა ერთხელ და ისიც ხაზგასმით, რომ ჩვენს პოეტებს დაუდგომლობა ახასიათებს, მათი მრწამსი რაღაც გამოურკვევლის შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე მეთქი.

მეორე ჯურის პოეტებიც ნათლად გრძნობენ, რომ „ძნელია არის მარტოობა სულისა“, ისინიც ცრემლითა და გოდებით იწყებენ ამ ცხოვრების გზას, მაგრამ ცრემლითავე ათავებენ მას, რადგან მუდამ მარტო რჩებიან ცხოვრების გზაზე... ეს მარტოობა ბოლოს შიშის მომგვრელ სახეს ღებულობს და ადამიანს ბრძოლის უნარს უკარგავს, მას ყოველის ფეხის გადადგმისა ეშინიან:

**„სად ვარ?., შიშმა ამიტანა**
**და უაზროდ ვადგამ ფეხებს**
**მალ-მალ უკან ვიყურები**
**და თვალი კვლავ ძველ გზას ეძებს?..**

(ი. მჭედლიშვილი.)

კიდევ შემეძლო მრავალი საყურადღებო ადგილები მომეყვანა ჩემი ლექციიდან, მაგრამ, მგონია, ესეც საკმარისი უნდა იყოს იმის აღსანიშნავად, თუ როგორი ცოდვა ჩაიდინა, ბ-მა ბურჭულაძემ მკითხველთა წინაშე, როცა ჩემს ლექციას სული ამოაცალა და მხოლოდ მის ჩონჩხზე დაგვიწყო გაასი....

რაც შეეხება ბებია ჩემის მოწმედ მოყვანას და ბ-ნ იასამნის ზედა სართულის მოწყობრობას, მინდა მოვახსენო ბ-ნ ბურჭულაძეს, რომ ბებია ჩემი არაფრის მოწმედ დამისახელებია და არც მიმინდვია მისთვის რაიმე დებულების დამოწმება-დადასტურება. იგი მხოლოდ ილლიუსტრაციისათვის მოვიყვანე, რათა აღმენიშნა ძველ ადამიანთა ზნე ჩვეულება; რასაკვირველია არ მიფიქრია, თუ ამას ისე მიმიხვდებოდა ბ-ნი ბურჭულაძე, თორემ მაშინ ბებია ჩემის ნაცვლად ბ-ნ ბურჭულაძის ბებიას მოვახსენიებდი, რომ გული არ დაჰწყვეტოდა.

არც ბ-ნ იასამანს შევხებივარ ისე სასტიკად და მით უმეტეს მას „ზედა სართულისთვის“ ჩემი დასკვნა არ გამომიტანია: აღვნიშნე ბ-ნ იასამნის ლექსების ნაკლულოვანობანი და წინააღმდეგობანი. მით უმეტეს მის ერთ ლექსში, რომელსაც სათაურთან არავითარი კავშირი არა აქვს და დავსძინე, რომ აქ პოეტი სულ სხვასა ლაპარაკობს, ვიდრე მას ამის სურვილი ჰქონდა და ამ გვარ შეუსაბამობაზე და ლოღიკურ წინააღმდეგობაზე ბებია ჩემი პირჯვარს გადაიწერდა, ღმერთს ახსენებდა და თანაც გაკვირვებით ჩააშტერდებოდა თვალებში მოპირდაპირეს, ალბად შიშობდა ვაი თუ ზედა სართული მწყობრად ვერა აქვსო.

ასევე დამახინჯებულია ჩემი აზრი ბ-ნ ლეჩხუმელისა და გელას შემოქმედების შესახებ.

მხოლოდ ერთში არის მართალი ბ-ნი ბურჭულაძე. ჩემს ლექციას უიმედობის ძალი ამჩნევია... ეს მართალია და მგონია ამ უიმედობას თავისი საფუძველიც აქვს. ჩემის აზრით ჩვენი ლიტერატურა მეტად დაქვეითდა და დაჩიავდა, მან თავისი განსხვავებული ფიზიონომია დაჰკარგა და რუსულ ლიტერატურის კარიკატურად იქცა. დღეს ჩვენ ქართული ლიტერატურა, ქართველი მწერლები არ მოგვეპოვება და სამშობლო ლიტერატურა, ამრიგად, უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. მე არა მაქვს იმედი რაიმე საინტერესო და საგანძური მოგვცენ ჩვენმა მწერლებმა, სანამ ისინი ლირიზმის ფარგლებს არ გადალახავენ და ნაციონალურ ეპოსს არ შექმნიან, მაშინ შემოქმედებას წუთიერი სწრაფვის ხასიათი აღარ ექმნება და ისიც ძლიერ ფრთებს გაშლის.

„ჩვენი ლიტერატურის აღორძინება და ხსნა მხოლოდ ეპოსსა და რომანს შეუძლიან“. ამბობს ერთ კერძო წერილში პატივცემული პუბლიცისტი ა. ჯ. და სანამ ჩვენი ლიტერატურა ამ ახალ გზას არ დაადგება და სანამ ქართულ ენაზე მწერალნი ნამდვილე ქართველ მწერლებად არ გახდებიან, მანამ მეც ვერ შევურიგდები მათ და სადაც და როგორადაც მომეხერხება, შეძლების დაგვარად, სასტიკად მოვეპყრობი და დავგმობ კიდეც მათ შემოქმედებას, რომელიც არც ქართველი ერისათვის და არც კაცობრიობისათვის არავითარ თამასუქს არ წარმოადგენს.

დარწმუნებული ვარ, რომ მე მარტო არ უნდა ვიყო ამ გზით მოსიარულე.

**აკაკი პაპავა.**

# ჩვენი კოოპერაცია

**(პასუხად ბ. მათხოჯელს.)**

„სახალხო გაზეთი“-ს № 345-ში გულდასმით გადავიკითხე ბ. მათხოჯელის წერილი, რომელშიაც ის ჩემგან „საქვეყნო პასუხს“ მოითხოვს. რაკი წერილი ისეთ საქმეს ეხება, რომელიც ასე ძნელად იკიდებს ჩვენში ფეხს (კოოპერაცია) და შესაძლებელია მათხოჯელის წერილმა ვინმეზე და სადმე ცუდი გავლენა იქონიოს, იძულებული ვარ, ხმა ამოვიღო.

ქვეყნად უნაკლო არავის არაფერი გაუკეთებია. ჩვენი კოოპერაციაც უნაკლო არ არის. იმ დასაწყისშივე ვერ ავცდით ზოგიერთ ნაკლს, რადგან არც ჩვენ გახლდით ამ საქმეში დახელოვნებული და არც მახლობლად გვეგულებოდა მსგავსი დაწესებულება, რომ მისი გამოცდილებით გვესარგებლნა. გვქონდა მხოლოდ კეთილი სურვილი და განზრახვანი და როგორც მოვახერხეთ, ისე მოვაწყეთ საქმე. ბ. მათხოჯელი რომ გარჯილიყო, კარგად შეესწავლა ჩვენი ამხანაგობის ღირსება-ნაკლულევანებანი, იქნებ შესაფერი რჩევა მოეცა და საქმის გაკეთებაში ამით დაგვხმარებოდა. მაგრამ შესწავლა-გაცნობას შრომა და უნარი სჭირია; ბ. მათხოჯელს კი უფრო ადვილი გზა აურჩევია: შეუკრებია „ცნობები“ იმ პირთაგან, რომელნიც დაარსებიდანვე ამხანაგობის მოწინააღმდეგენი იყვნენ, რომელთაც „მოძრაობის დროს დუქანს ნიადაგი შეურყიეს“, (ბ. მათხოჯელის სიტყვებია). აბა, ამათგან მოკრებილ ცნობებზე დამყარება შეიძლება?

დარწმუნებული ვარ, რომ ბ. მათხოჯელი დაუკვირდება ჩვენი კოოპერაციის საქმეების მიმდინარეობა-განვითარებას, შეისწავლის მას, დაუპირდაპირებს მის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს და თვითვე უარჰყოფს მათ. მხოლოდ ამ საშუალებით თუ გაასწორებს იმ დანაშაულს, რომელიც მან ამხანაგობის წინაშე ჩაიდინა.

მანამდე გავიხსენოთ ბ. მათხოჯელის ბრალდებანი: დუქანში „ვაჭრობაა—ფასების აწევ-დაწევაა, თუმცა განცხადებაა გაკრული—ფასები შეუვაჭრებლადო“, სწერს ბ. მათხოჯელი.

მტკნარი სიცრუეა. დიდი ბრძოლა დაგვჭირდა, სანამ ხალხი შეუვაჭრებლად ყიდვას შეეჩვეოდა. დღესაც ბევრი ურჩობს: როგორ შეიძლება პირველ დაფასებაზე არა დაუკლოს რა ვაჭარმაო. ვერ გავამტყუნებთ ხალხს, ჩვეულება სჯულთ უმტკიცესია, ჩვენი ნოქრები კი მტკიცედ იცავენ წესდებას—საქონელს დადგენილ ფასად ჰყიდიან, რომელიც საქონელზედვე აღნიშნულია (თუ ეხერხება ეს), ან განცხადებაშია აღნუსხული.

შემდეგი ბრალდება ბ. მათხოჯელისა ის არის, რომ საქონელს ხონის ბაზარზე იაფად ვერა ვყიდით.

ეს ყურადსაღები კითხვაა, როგორც ჩვენთვის, ისე სხვა კოოპერაციებისათვისაც. ყველამ იცის, რომ საქონელს იაფად გაჰყიდით, თუ თვითონ იაფად იყიდით; საქონელი იაფად მაშინ დაგიჯდებათ, თუ პირდაპირ სამრეწველო ქარხნებიდან დაიბარებთ. მაგრამ ისე პატარა კოოპერაციას, როგორიც ჩვენია, არ შეუძლიან პირველი ხელიდან ყოველი საქონელი დაიბაროს, მაგ., ფართლისა, შაქრისა, ფქვილისა, კალოშებისა და სხვა, რადგანაც ამისთვის საკმაო თანხა არა აქვს და არც მოთხოვნილება აქვს ერთგვარი დიდძალ საქონლისა: ჩვენებურ კოოპერაცის სჭირია ბევრნაირი საქონელი, ხოლო ცოტ-ცოტა. ქარხანა სამრეწველოებიდან კი მხოლოდ დიდ-ძალ საქონლის ბითუმად დაბარება შეიძლება. ამ უხერხულობის თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ჩვენ ბევრი კოოპერაციები იქნება და კავშირს შეადგენენ: კავშირი ყოველ საქონელს პირდაპირ ქარხნებიდან დაიბარებს და მოკავშირე კოოპერაციებს დაუნაწილებს. საქონელი მხოლოდ ამ პირობებში იაფად დაჯდება და მისი იაფად გაყიდვაც შეიძლება. მანამდე კი ჩვენებური კოოპერაცია იძულებულია მახლობელ ბაზარში იყიდოს საჭირო საქონელი და წევრებს მიაწოდოს. ასე ნაყიდი საქონელი კი ძვირად ჯდება და მახლობელ ბაზარზე იაფად კოოპერაცია ვერ გაჰყიდის.

ბ. მათხოჯელი ბრძანებს: „ხონზედ გაცილებით მეტს აგვახდევინებენო“. ტყუილია.

რატომ ერთი საქონელი მაინც არ დაასახელა, რომელიც „გაცილებით“ მეტად ძვირად იყიდება აქ?

რაკი მას არ სცოდნია, ჩვენ ვეტყვით: ხან და ხან მხოლოდ პურის ფასია მეტი ჩვენს ფურნეში, ვიდრე ხონში, მაგ., თუ ხონში 3 გირ. 11 კაპ. იყიდება, ჩვენთან 12 კაპ. ვიმეორებ, ესეც ხან და ხან, ხოლო როცა ფუთობით ვინმე ყიდულობს, ვცდილობთ ხონის მაზანდაზე გავყიდოთ. გონიერი კაცი ჩვენთან „პურის სიძვირეს“ ადვილად აჰხსნიდა:

ჩვენ ცალი ფქვილი 10—15 კაპ. მეტი გვიჯდება, ვიდრე ხონელებს, ფურნის გახურებისთვისაც მეტი შეშა გვჭირია, ვინაიდგან ხონში დღეში ორჯერ-სამჯერ ახურებენ ფურნეს, ჩვენში კი კვირაში ერთხელ, ორჯერ,—მეტი მოთხოვნილება არ არის, ხარჯი კი აქაც თითქმის ერთი და იგივეა. ცხადია, ჩვენ უფრო მეტად გვიჯდება გამომცხვარი პური, ვიდრე ხონს; გარდა ამისა, ხონი პურს ბევრს ასაღებს, ჩვენ-კი ცოტას. ასეთ პირობებში რომ ჩვენში ფუთი ორი შაურით მეტად გაიყიდოს, რა გასაკვირია. გაგებულმა წევრებმა ეს დიდი ხანია შეიგნეს და დააფასეს. ერთსაც ვკითხავ ბ. მათხოჯელს: რამდენი ფურნეა ჩვენში გაუქმებული? თუ ხელ-საყრელი იყოს იმ ფასებში პურის გაყიდვა, როგორც ჩვენი კოოპერაცია ჰყიდის, რატომ არ აწარმოებენ პატრონები გაუქმებულ ფურნეს, როგორც წინედ იყო, სანამ ჩვენი კოოპერაცია საკუთარ ფურნეს გააკეთებდა?

დიდად სცდება ბ. მათხოჯელი, როცა ამბობს: „საქონელიც ხშირად ნაკლები ხარისხისაო“. ერთი მაინც დაასახელეთ, ბატონო, ასეთი საქონელი!

„საქონელში რასაც მეტს ვიხდით, მოგებად იმას გვაძლევენ და ამნაირად თვალს „გვიხვევენო!“ ასეთი მსჯელობა ახირებულია, სასაცილო რომ არ იყოს. თუ საქონელი იმ ფასებად გაიყიდა, რაც დაჯდა, საიდან შეიძლოს გამგეობამ დაჰფაროს ათასგვარი ხარჯი: ნოქრების ჯამაგირი, პატენტი, გამგეობის ხარჯი, შენობების შეკეთება. გარდა ამისა საქონელი ილპება, იბნევა... მთელი ხარჯის გარდა მორჩენილი მოგება ურიგდება წევრებს ორგვარად: წილის ფულის სარგებელი (12%) და ნავაჭრის პრემია, (4—5%). ზოგი ამბობს: ეს 4—5 კაპ. მანეთზე მეტი აგიღიათ და იმას მიბრუნებთო. ასეც რომ იყოს, დიდი ცოდვა არ არის: მისი მასვე დავუბრუნეთ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ საქმე სხვანაირად გახლავთ: წლიური ანგარიშების მთელი რიგი გვიმტკიცებს, რომ ყოველ ათასი მანეთის გაყიდულ საქონლისგან ზევით მესამედზე ცოტა მეტი უყიდიათ, დანარჩენი კი უვაჭრია არა ბევრს. ამნაირად ის პრემია, რაც სამართლით არა წევრს ეკუთვნის, წევრებს ურიგდება, გვინდოდა არა-წევრთაც მისცემოდათ მცირე პრემია; ეს სამართლიანი იქნებოდა და მუშტარიც მეტი ეყოლებოდა საზოგადოების დუქანს, მაგრამ კრება არ დასთანხმდა („თუ ჰნებავთ, წევრებად ჩაეწერნენო)“. ეტყობა, ვერ მოვწიფებულვართ ამ აზრის შეგნებამდე. საზოგადოებაში არც ისე მალე იკიდებს ფეხს ახალი აზრი, როგორც ბ. მათხოჯელსა ჰგონია.

„მოგება ფულად ვერასოდეს ვერ მივიღეთ, უეჭველად საქონლით უნდა წავიღოთ და ისიც რამდენიმე თვის შემდეგ“-განაგრძობს ბ. მათხოჯელი. ამით ახალ საბუთს გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ იგი არც წესდებას იცნობს, არც-საქმეს. კოოპერაცია ბანკი ხომ არ არის, რომ კასაში მუდამ ათასობით ეწყოს; მას ფული საქონელში აქვს დაბანდებული. ერთბაშად ასი თუმნის დარიგება წევრთათვის უუმდიდრეს კოოპერაციას გაუჭირდება, იმიტომაც წესდებაში ასეთი მუხლია: მოგება წევრთ დაურიგდება წლიური კრების შემდეგ, სამი თვის განმავლობაშიო. „ფულად ვერ მივიღეთ ვერასოდესო“ ეს ტყუილია.

დაასახელეთ, ვინ ითხოვა ფულად და არ მიიღო? ჩვენ ათიობით დაგისახელებთ, ვინც ფულად მიიღო. ასეც რომ არ იყოს და საქონელი მიიღოს მოგებაში, ცუდს რასა ჰხედავს ამაში ბ. მათხოჯელი? განა საქონელი იგივე ფული არ არის?

---

—ცოტა-ღა ხალხი დარჩება მაშინ ქვეყნად! სთქვა ერთბაშად მოღუშულმა მოხუცმა.

დრო გამოშვებით ნენედდა ქოხში იწვევდა ბავშვს,—ხან ხორცის ნაჭერს უჩვენებდა, ხან ახალ ყველს. ბავშვი მივარდებოდა, სჭამდა და თან ყურადღებით უსმენდა, თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, შემდეგ ისევ გარბოდა მოხუცისაკენ და ისევ იმართებოდა ლაქლაქი.

როდესაც ბიძია ანდრია მიდიოდა ხბოების მოსადენად, ბავშვი მის გვერდით მირბოდა და კალთაზე ეპოტიალებოდა, მოხუცი ხუმრობით იშორებდა და იმეორებდა:

შენთან დროს ვკარგავ მხოლოდ, მდევო! მაგრამ იმწამსვე ხელს ჰკიდებდა და თან მიჰყავდა.

სადილად ბავშვი გვერდით მიუჯდა მოხუცს; ერთბაშად ბიძია ანდრიას მუხლებზე დაუშვა თავი,—ჩაეძინა. ნენედდამ მოინდომა მძინარე ბავშვის ქოხში შეტანა, მაგრამ მოხუცმა არ დაანება:

დაეხსენ! არ გააღვიძო! რა ლამაზია!..

და მოხუცი განაგრძობდა საერთო ლაპარაკს და დროგამოშვებით ხელს უსვამდა თავზე მძინარე ბავშვს და ლმობიერის თვალით აცქერდებოდა.

აიყვანდი მაგ ბალღს, თუ ეგრე მოგეწონა, უთხრა ნენედდამ.

—მამა არა ჰყავს! ჩქარა შეიძლება უდედოთაც დარჩეს. შვილის მაგიერობას გაგიწევდა.

—სთქვა! მოვხუცდი და არცა რა მაბადია, მიუგო ბიძია ანდრიამ.

—მაშ შვილის-შვილის მაგიერად... გაუბედავად განაგრძო ნენედდამ.

მოხუცმა შეიკრა ჭაღარა წარბები. ქალი მიუხვდა მის დამჩაგვრელ დაფარულ აზრს და გაჩუმდა.

ნასადილევს მწყესები თავის საქმეს დაუბრუნდნენ. ქალები მინდორში ისვენებდნენ. მეც წავიძინე.

როდესაც გამოვიღვიძე, პირველად ბავშვი დავინახე; გამოცოცხლებული, ხალისიანი, დიდის ამბით ეღურტულებოდა ნენედდას. ქალი ამბობდა:

—ყური დამიგდე: ჩქარა ბიძია ანდრია გაათავებს მუშაობას, აქ მოვა და ბალახზე დაჯდება, მიდი მაშინ, მიეხვიე კისერზე და უთხარი: „ბაბუა, მე შენი შვილი-შვილი ვარ. მომეცი ნება, შენთან დავრჩე“. გაიგე?

—ჰო, უპასუხა ბავშვმა.

მეც გავიგე, რაშიაც იყო საქმე!

—ნუ თუ მოხუცი აქამდის არ იცნობდა ბავშვს? ვკითხე ნენედდას.—არასოდეს არ უნახავს ბავშვი?

—უარს ამბობდა მის ნახვისას, მიპასუხა ქალმა.

—პატარა წი ძლიერა ჰგავს, შენიშნა ერთმა ქალთაგანმა.—ჩემის აზრით შეუძლებელია, ბიძია ანდრიას ვერ შეენიშნა ეს; რაღაც იჭვიც აქვს.

—მით უკეთესი! უპასუხა ნენედდამ.

ჩვენ ველოდით და თან რაღაც შიშსა ვგრძნობდით.

მწყემსებმა გაათავეს თავიანთი საქმე. ხანდახან ბიძია ანდრია გამოსძახებდა ბალღსა:

—რატომ არ მოხვალ, ყოჩაღო?

—არა, შენ მოდი: რაღაც უნდა გითხრა, უპასუხებდა ბავშვი.

ბოლოს მოხუცი მოგვიახლოვდა.

—აჰა, გათავდა, სთქვა და ქვეით დაეშვა ბალახზე.—გაისმდე. დავლიოთ ყველას სადღეგრძელო.

დალიეს. შემდეგ მოხუცი მიუბრუნდა პატარას:

—აბა შენ რასა იქ? დარჩები ჩემთან თუ არა? ყველა ყაჩაღნი გაიფანტნენ, რაკი გაიგეს, რომ შენ აქა ხარ. მაშ, რას იტყვი, მაინც კიდე გინდა დარჩე.

ბავშვი მიჰვარდა, მოიხედა ნენედდასაკენ, შემდეგ ერთბაშად მაგრად, მაგრად მოეხვია კისერზე მოხუცს და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

—ხმა მაღლა სთქვი, არ მესმის!

—ბაბუ, მე შენი შვილიშვილი ვარ და მინდა შენთან ვიყო!

ბიძია ანდრია ქარხალსავით გაწითლდა, შემდეგ ერთბაშად გაფითრდა. პირველი მისი სურვილი იყო—ბავშვი მოეშორებინა, მაგრამ ის ძალზე ჩახუტებოდა და იცინოდა, იცინოდა...

—ეგ სულ შენი ოინებია, ბებერო კუდიანო, აკანკალებულის ხმით წამოიძახა მოხუცმა და ცალი ხელი ნენედდას დაუქნია, მეორე კი ბავშვს მოჰხვია.

ნენედდას ცრემლი მოადგა თვალზე. ხშირად ემართებოდა ეს, მაგრამ მოხუცსაც ავსებოდა ცრემლებით თვალები.

—რათა ხარ ეგრე მიღუშული? ჰკითხა უეცრად ბავშვმა—ან თუ კიდე გეშინია ყაჩაღების?

—ჰო, ჰო, გარეული ღორი ვნახე აი იქ, შორს, და მეშინია, მეშინია.. სთქვა ბიძია ანდრიამ და თან არ უშვებდა ხელს პატარას.

—დამაცა! წავიდე და მოვკლა. ოღონდ ნუ სტირი.

—აი, მართლა არ მორბის... გარეული ღორი! მოვიდა. მოვიდა! აბა, მოჰკალ ჩქარა! დაიძახა ხუმრობით ერთმა მწყემსმა, მაგრამ გულადმა მეომარმა ერთი საშინლად დაიკივლა შიშისაგან და ჩაეკრა ბაბუას გულში.

მოხუცმაც მოჰხვია ხელი და უნაზესის სიყვარულით ჩაიხუტა გულში.

**შ. ზ—ლი.**

„გულის ამაცრუებელი მიზეზად ხალხი დუქანთან დაახლოვებულ პირთ შუა ნათლი-მამობას ჯასახელებს. ამბობენ, მხოლოდ თავისიანებს ანდობენ დუქანს და სხვა და სხვა საქმესო."

აქაც გაუგებრობაა! წევრები ირჩევენ გამგეობას. გამგეობა კი ნოქრებად იმას იყვანს, ვისაც ენდობა, ვინც კეთილ-სინიდისიერად მიაჩნია და საქმისაც გაეგება რამ. თუ რომელიმე ნოქარი არ გამოდგა, გამგეობა სცვლის მას.

განა ასე არ არის ბ. მათხოჯელო? აქ რა შუაშია ნათლიმამობა გინდა პირდაპირის აზრით, გინდა აზრ-გადატანით? **ლ. ჩიმაკაძე.**

(დასასრული იქნება)

# მოწერილი ამბავი

**სოფ. კავთისხევი (გორის მაზრა).** ძლივს კავთისხევსაც ეღირსა ბიბლიოთეკა-სამკითხველო! ნება-რთვა უკვე მოსულია და კვირისთვის კურთხევაა დანიშნული. მართალია ბ-ნი სამადაშვილი, სოფლის მასწავლებელი, რადაც გამოურკვეველ მიზეზების გამო, სცდილობდა უშლელი ჩამოეგდო ადგილობრივ მცხოვრებთა შორის და გლეხები ინტელიგენტთა პატარა ჯგუფის წინააღმდეგ აემხედრებინა, მაგრამ სანთელსაკმელმა მაინც გზა არ დაჰკარგა და მასწავლებელიც დამარცხდა. ეს ის მასწავლებელი გახლავთ, რომელიც გლეხებს უუბნებოდა წვრილი კრედიტით არ უნდა ისარგებლოთ, რადგანაც ეს მხოლოდ ხალხის მოსატყუებლად გამოგონილი ხრიკიაო. მართალია ბ-ნმა სამადაშვილმა თითქო უარჰყო ეს ბრალდება და მოითხოვა, სხვებმა ამოიღონ ხმა და დაადასტურონ, რომ მე მართლა ავმხედრდი წვრილი კრედიტის წინააღმდეგო, მაგრამ როგორც პირადად მე, ისე სხვებსაც, ცოტა უხერხულად მიგვაჩნია თვით მასწავლებლისთვის დაწვრილებით ჩამოწერა ყველა იმ სიტყვებისა, რომელნიც მან წარმოსთქვა წვრილი კრედიტის შესახებ. თუ საჭიროდ დავინახავ და ბ-ნი სამადაშვილიც თავის ინტრიგანობასა და დემაგოგობას არ მოიშლის, მაშინ მეც იძულებული გავხდები სხვანაირად მოვიქცე. ინტრიგანობდა ბ-ნი მასწავლებელი წვრილი კრედიტის საქმის მოწესრიგების დროს, ინტრიგანობდა იმათ წინააღმდეგაც, ვისაც უნდოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო რაც შეიძლება მალე გაეხსნა. ინტრიგანობდა იმიტომ, რომ ჩვეულებრივ წესების დარღვევა ვერ მოახერხა და დამსწრე საზოგადოებას ბიბლიოთეკის გამგეობა ვერ ამოარჩევინა. წესით, ბიბლიოთეკის გამგედ ერთი პირია ხოლმე, დამტკიცებული მთავრობის მიერ, ადგილობრივ მცხოვრებთაგან კი ირჩევენ სამზრუნველოს, რომელსაც, როგორც სახელიდანაც სჩანს, ევალება ზრუნვა ბიბლიოთეკის ქონებრივს უზრუნველყოფისთვის. ბ-ნი სამადაშვილი ამ მცირე, მაგრამ საპატიო შრომით, არა კმაყოფილდებოდა და უნდოდა, ბიბლიოთეკას დაეპატრონებოდა გამგეობა, რომლის ავან-ჩავანიც თვითონ უნდა უთქვიდაო. რასაკვირველია ამისთანა პირობებში მას უფრო ადვილად შეეძლო ბიბლიოთეკა თავის დემაგოგიურ გულის ზრახვათა იარაღად გამოეყენებინა, მაგრამ კოჭი ადგილზე ვერ დაუჯდა: საზოგადოებამ აირჩია მხოლოდ სამზრუნველო და ხელმძღვანელობა კი დაუტოვა იმას, ვისაც ბიბლიოთეკა ეკუთვნის—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას... **კავთისხეველი.**

# სპარსეთის ამბები

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**25 მკათათვე.**

**ურმია.** შამშალიდან იტყობინებიან: ხალხი შაჰის მოლოდინშია და იარაღს ისხამსო.

**ურმია.** ყაჩაღმა როსტამ-ბეკმა, რომელმაც სუნიტების სოფელი ბენდა იჯარით აიღო, გუბერნატორს თოფი ესროლა, მაგრამ აასცდინა. ამ სოფლელებმა თავის თავი ოსმალეთის ქვეშევრდომებად გამოაცხადეს.

**ურმია.** შამშალიდან იტყობინებიან: ქურთთა ბრბო სოფელ ჩაბანგუს დაესხა და ხოესა და სალმასას შუა ტელეგრაფი მოშალა.

**მაჰმედ-ალის გეგმა.**

თეირანში მაჰმედ-ალის შესახებ არავითარი ცნობა მოდიოდა, ამან ათასი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგი ამბობდა, ძველ შაჰს ყოველ დღე უნდა ველოდეთ თეირანში, სადაც მას ყაზახები სიხარულით მიეგებებიანო. ზოგი კი იმ აზრისა იყო, მაჰმედი რუსეთს წავიდაო. საზოგადოდ კი, გადაჭრით ვერავის ვერაფერი ეთქვა. ზოგი ამბობდა, შაჰმა გემი თავის უმთავრეს ბინად ამოირჩიაო. შესაძლებელია, რომ იგი თურქმენებთან განგებ მოვიდა, რათა მთავრობის ყურადღება აქედ მიეპყრო და მისი ჯარი აღმოსავლეთისაკენ გაეტყუებინა. ეხლა მას შეუძლიან თავის ერთგულ შახსევანებთან დასავლეთით მივიდეს და სალარუდ-დოულეს შეუერთდეს. ოპტიმისტები კი ამბობდნენ, შაჰს შეშინდა, რაკი მისი თავი 100,000 თუმნად დააფასეს და მიიმალაო. ბოლოს გამოირკვა, რომ შაჰი გემში არ ჩამჯდარა. ეს მხოლოდ მოსატყუებელი მთავრობის ხრიკი ყოფილა, ის ტელეგრაფის მოხელე, რომელმაც ასეთ შინაარსის დეპეშა მიიღო, მთავრობამ სამსახურიდან გადააყენა.

**თურქმენები.**

თურქმენების დეპუტატი, რომელიც მეჯლისმა მათ დასამშვიდებლად გაჰგზავნა, კონსტიტუციონალისტ თურქმენებს სათავეში ჩაუდგა. ამათ მაჰმედ-ალის მომხრეებთან რამდენიმე შეტაკება კიდეც მოუხდათ.

**თეირანი.**

თეირანში სამხრეთიდან ბახტიართა ერთი წყება მოვიდა.

პოლიცია კერძო პირთ იარაღს ართმევს.

რუსეთის თეირანელმა წარმომადგენელმა, სპარსეთის მთავრობას პროტესტი განუცხადა, ჟანდარმერის მეთაურად სამხედრო ატაშედ ნამყოფი სკოტი რად დაჰნიშნეთო. ამ პროტესტის გამო რეგენტმა მეჯლისის დადგენილება არ დაადასტურა, რომლის ძალითაც სკოტისათვის ფული უნდა მიეცათ.

**პეტერბურგიდან მიღებული ცნობა.**

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გაუგია, რომ მაჰმედ-ალის მომხრენი თეირანისაკენ სამის მხრით გალაშქრებულან. სპარსეთის მთავრობას შაჰის წინააღმდეგ ჯარი ორ მხარეს გაუგზავნია, ერთი ნაწილი შავ ულელ ტეხილისაკენ მეორე შახრუდისაკენ. რამდენი ჯარია გაგზავნილი შაჰის წინაამდეგ, ნამდვილად არ იციან. ჰფიქრობენ კი, რომ 5.000 მაინც იქნება.

რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგია, რომ ძველი შაჰის მომხრენი ძლიერდებიანო,

ამბობენ, თუ შაჰმა გაიმარჯვა სპარსეთის მთავრობა და მეჯლისი ბესტს შეაფარებენ თავსაო.

**რეშიდ-ულ-მულკის ამბავი.**

როგორც ვიცით, რეშიდ-ულ-მულკი სპარსეთის მთავრობამ დაატუსაღა და ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორმა სამართალში მისცა მთავრობის ღალატისათვის. მაგრამ რუსეთის მისიის მეოხებით მალე გაანთავისუფლეს. ეხლა ამის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობა მოგვივიდა.

როცა ულ-მულკი დაუტუსაღებიათ, სპარსეთის გარეშესაქმეთა სამინისტროში რუსეთის კონსული მისულა და უთხოვნია, ულ-მულკს კარგად მოეპყარითო. ეს თავისი გამოსარჩლება იმით გაამართლა, რომ ულ-მულკს რუსეთის ორდენი აქვსო. სამინისტრომ უპასუხა, ჩვენ რეგენტის ბრძანების თანახმად მოვიქცევითო. რამდენიმე ხნის შემდეგ ვიცე-გუბერნატორთან მისულა კონსული და უთხოვნია, ულ-მულკი გაანთავისუფლეთო. გუბერნატორს უთქვამს, უფლება არა მაქვსო. კონსული ხელ-ცარიელი წასულა. ამის შემდეგ გენერალ-გუბერნატორის სახლში, სადაც ულ მულკი ყოფილა დატუსაღებული, 300 რუსის სალდათი მისულა და ულ-მულკი გაუნთავისუფლებია.

**დიპლომატ რუსის აზრი**

ერთ დიპლომატ რუსს უთქვამს: ეჭვი არ არის, მაჰმედ-ალი ისე გაიმარჯვებს, რომ სისხლის ღვრა არ დასჭირდებაო. რუსეთი სპარსეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერევა. რუსეთის დიპლომატია დარწმუნებულია, რამ რა წამს მაჰმედ-ალი გამეფდება, სპარსეთის ანარქიაც მოისპობა. მაჰმედ-ალიმ ევროპაში ყოფნის ბევრი რამ ისწავლა, ბევრი რამ გაიგო და ეხლა უცხო სახელმწიფოთა ჩარევისა აღარ უნდა ეშინოდესო.

# რუსეთი

გზათა მინისტრმა ს. ვ. რუხლოვმა ცირკულიარით განამტკიცა 1880 წლის მინისტრად ნამყოფის გენერალ-ადიუტანტ პოსიეტის ცირკულიარი, იმის შესახებ, რომ მოსამსახურენი მოწიწებით ეპყრობოდნენ უფროს მოხელეთ. რკინის გზაზე მოსამსახურეთ ევალებათ მინისტრს, მის მოგზაურობის დროს, ფრონტში ჩაუდგნენ და სამხედრო სალამი მისცენ; სხვა უფროს მოხელეთ კი მხოლოდ სამხედრო სალამი მისცენ. რუხლოვი ამ უფროსებსაც ავალებს ამ მოვალეობის ასრულებას ყურადღება მიაქციონ.

— პეტერბურგის სავაჭრო ნავთსადგურში 12,000 მუშა გაიფიცა. საქმე ის არის, რომ ახალი დრედნოუტების შენება ამ 3,000 მუშა ხელი მოიწდომა; ინგლისის ნახშირის მაღაროებში გაფიცვის გათავების შემდეგ, დიდძალი გემი მოაწყდა ნავთსადგურს და მუშები კი არ იციან. ამან ხელფასი ასწია და მუშები დღეში 2 მ. 50 კ-ს მოითხოვენ. ხოლო ზედმეტ მუშაობისათვის ცალკე ქირას. აგრეთვე მოითხოვენ, რომ მამაკაცთა სამუშაოზე ქალები არ გაჰყავდეთ და ხორბლეულობის ცხრილვაში 90 კ. ნაკლები არ უნდა ეძლეოდეთო. რით გათავდება ეს საქმე ვინ იცის და ჯერ-ჯერობით კი 12.000 მუშაა გაფიცული.

— ახალ დიდ დრედნოტების ასაშენებლად და შესაკეთებლად საზღვაო მინისტრმა გადასწყვიტა კრონშტადში გამართოს ახალი გემთსაგები. გემთსაგების საფუძველს 30 ივლისს ჩაჰყრიან და ამ დღისთვის მოიპატიჟეს კიდეც სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრები. გემთსაგები დაჯდება 2 მილიონი მან.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 მკათათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**ლივერპული.** გაიფიცა ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის რკინის გზის 12.000 მუშა. სხვა მუშების გაფიცვისაც ეშინიათ. რკინის გზაზე მიმოსვლა შეჩერებულია.

**სტამბოლი.** ერთ კვირაში ხოლერით ავად გახდა 179. მოკვდა 90.

რაკი ბერძნეთისა და ოსმალეთის საკონსულოს კასირის ცემის თაობაზე საქმე გაურთულდათ, ოსმალეთის ფლოტმა ბრძანება მიიღო, არქიპელაგის ზღვაში გადიო.

**ცეტინიე.** სამშობლოში დაბრუნებულმა 2000-მა მალისორმა ტუზაზე გაიარა, 1000-მა ზატრიევეტაზე, 1000 გრუდაზე. გენერლები ვუკოვიჩი და მარტინოვიჩი პოდგორიციდან ცეტინიეს დაბრუნდნენ. მეფე ნიკოლოზმა სულთანს აჯანყების მშვიდად გათავება და ოსმალეთ ჩერნოგორიის შეგობრულ განწყობილების დამყარება მიულოცა.

**რ უ ს ე თ ი.**

**ეკატერინოსლავი.** ნიაღვარმა მარიუპოლ-პოროტის გზის დიანდაკი სამ ვერსზე გააფუჭა.

**ომსკი.** გზათა მინისტრმა დაათვალიერა გამოფენა და ტომსკს გაემგზავრა.

**ნიკოლაევსკი.** სამარის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 5, მოკვდა 2.

**ნიკოლაევი.** ოდესაში მავი-ჭირის შიშით ნაბრძანებია იქიდან მოსული გემები გასინჯონ.

არქეოლოგთა მე-XV კრებაში ისტორიკოსი ილოვაისკი იცავდა თავის თეორიას, რომელიც ვარიაგთა მოწვევას უარჰყოფს. პრ. ბოგალეი ილოვაისკის ემხრობოდა.

ბაქო. დაიწვა 10 ვიშკა კასპიისა და შავი ზღვის საზოგადოებისა და სამი ბურღის მოწყობილობა. მოიჯარადრეთ ზარალი 70.000 მ. უდრის.

**ასტრახანი.** გუბერნიაში ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით 22 გახდა ავად, 8 გარდაიცვალა.

# თეატრი და ხელოვნება

**სოფ. ნიგოზეთი (შორაპნის მაზრა).** შაბათს, 23 ივლისს, სოფ. ნიგოზეთში ადგილობრივმა ახალ-გაზრდა სცენის მოყვარეებმა ქ. ჯ. დავითაშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს „არსენა" დრ. ა. ყაზბეგისა და „უბედური დღე" ვოდ. ვ. ბალანჩივაძისა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და რიგიანი წეს-რიგიც იყო დაცული. ორივე პიესამ გვარიანად ჩაიარა. დაბოლოს იმღერეს „ვორივორირა" და ცეკვა გაიმართა, რომელმაც საზოგადოება გამხიარულა.

უმჯობესი იქნებოდა ბ. სცენის მოყვარეებს, წარმოდგენიდან შემოსული ფული, რაიმე საქველმოქმედო საქმისათვის გადაედოთ. **შაქრო.**

—

**სურამი.** 21 ივლისს სურამს ესტუმრა მიხეილ კავსაძის ქართული მომღერალი გუნდი და ადგილობრივ თეატრში გამართა კონცერტი. ხალხი ნაკლებად დაესწრო, რადგანაც ცუდმა ამინდმა ხელი შეუშალა. კონცერტმა მწყობრად ჩაიარა. მხოლოდ მესამე ხმები სუსტობდა. მესამე განყოფილებაში გლეხურად გამოწყობილებმა იმღერეს ხალხური სიმღერები. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ღამის მეხრის სიმღერამ „საწყალი გლეხის შვილი ვარ", რომელიც ძმა კავსაძეებმა შეასრულეს, მომღერალნი ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. შემოსავალი მეტად ნაკლები ჰქონდათ. აღსანიშნავია რომ თეატრის პატრონი, რადგანაც მეტოქე არ ჰყავს, ორმოც მანათს იღებს ქირას, რაც არასაკადრის საქციელად უნდა ჩაითვალოს. ხარჯი ბევრი ჰქონდათ, რის გამოც ბევრი არაფერი დარჩებოდათ.

ხალხი ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. **მეთვალყურე.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ეს წერილი დამიბეჭდოთ. მეორე წელია მას აქეთ, რაც ქარ. დრამ. საზოგადოების გამგეობას გავუგზავნე ოთხ მოქმედებიანი პიესა „სამღვდელი შვილი". რადგანაც მაშინ ორიგინალურს პიესების პრემიები იყო გამოცხადებული, მეც გავბედე და პიესა საპრემიოდ გამოვაწყვე. მას შემდეგ ვერც პრემიის შესახებ გავიგე-რა, და ვერც პიესის. პირველს ვინ დაეძებს—თქვენი ჭირი წაუღია, ხოლო რაც შეეხება თვით პიესას, უნდა ვიცოდე მისი თავ-გადასავალი. თუ განხილულ იქმნა იგი და ამის შემდეგ უარყოფილი, როგორც გამგეობისათვის გამოუსადეგი პიესა, ავტორმა უნდა იცოდეს ეს, რათა უკან დაიბრუნოს; თუ კი... თუ კი მოწონებული იქმნა, მაშინ პრემია თუ არა „ნათელი დღე" მაინც ეღირსებიათ მისთვის. თუ არც ერთია და არც მეორე, მაშინ ალბად მოლოდინში სული დაულევია საცოდავს და, უპატრონოდ დარჩენილი, გდია სადმე მეტ-ტვირთად.

უმორჩილესად ვითხოვ მეუწყოს ავიც და კარგიც პიესისა „სახალხო გაზეთის" უმახლობელესს ნომერში. **ჭირისუფალი.**

# გამოსადეგი ცნობა

**პეტერბურგის ბირჟა**

26 ივლისი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**სარგებლიან ქაღალდების ფასები:**

4% სახ. რენტა . . . . . . 93¾
5% გირ. ფ. ხ.-აზ. სახ. ხ.-მამ. ბან. 99¾
4% „ „ „ „ . . . 91
3½% „ „ „ „ . . . 85
5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. 86
4½% „ „ „ „ . . . —
5% „ „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. —
5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. სას. საზ. 87
4½% „ „ „ „ . . . —
5% I მომგებ. ბილეთ. . . . 474
5% II „ „ . . . 365
5% III „ „ . . . 324½

**ტფილისის ბირჟა**

**სანოვაგისა და ქირნახულის მაზანდა:**

მატყლი თუშური . . . 7 მ. 80 კ. 8 მ.
ბამბა ქუთათური . . . . . —
აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. 15-16 „
ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი . . —
(გარეცხილი . . —
ყველი ქართული . . . . 7 მ. 40 კ. 8 მ.
თხილი ზაქათალისა . . . . . —
ღვინო კახური . . . . . 3 მ. 50 კ.
შაქარი (თავისა . 5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ.
(ფხვიერი . . . . 4 მ. 60 კ.
ხორბალი . . . . . . . —
ქერი თეთრი . . . . . . —
სიმინდი . . . . . . . —

**მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.**

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 წუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო** მატ. დილის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ. მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული** მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დილ. 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., პალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში I ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად., 1 ს. 44 წ., პალაჯარაში საღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

**შერეული** მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., პალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ. პლატზკ. N 1. I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

**ბათომიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ. ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

შორაპნისაკენ: საზ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: საზ. 3 ს. 28 წ. დღით. საზ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: საზ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათომიდან: საზ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., საზ. 10 ს. 21 წ. დილით.

შორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: საზ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის ნაშ. 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონებ პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო საძილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საავარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) **შერეული** სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა სადგურების მიხედვით იგლის.


# განცხადებანი

**დოქტ. ნაგასარდიანისა**

უქმეს დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნაგასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა,

**ზ. ი. ბაბანასოვა:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ბგასართოვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—8 ს. საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გელესკაია-ენგელი:** 6—6½ საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. გარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნაგასარდიანი.

(წ. (1168—93)

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში**

# იყიდება შემდეგი წიგნები:

**თხ. არჩ. ჯორჯაძისა:** წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", . . . . ფ. 75 კ.
„ „ „ წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . ფ. 80 კ.
**B a t o n-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.
**ვ. ყიფიანისა:** „სამეგრელოს მთავარი ლევან", 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ.
**შიუკაშვილისა:** „მეგობრობა", 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ქეგეველოვების**

**მ ა ღ ა ზ ი ა**

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე გამოწერილი აქვს

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** [illegible] **სევრიუგა** [illegible]

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая)

[illegible]

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მილევილი** [illegible] **ორაგული** [illegible]

[illegible] გირვანქა 1 მ. 60 კ., 2 მ. 40 კ. [illegible]

[illegible] ხიზილალა (Кетовая) 60 კ. [illegible]

[illegible] ბალიკი 50 კ.

(წ—1053—)